



ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოციალურ მეცნიერებათა სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო და მიზნები

1.1 წინამდებარე დებულება შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და განსაზღვრავს ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) სოციალურ მეცნიერებათა სკოლის სადისერტაციო საბჭოს შედგენისა და საქმიანობის წესს, სადოქტორო პროგრამებზე მიღების წესს, სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელის დანიშვნის წესს, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წესს, დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების წესს, სადოქტორო პროგრამის ფარგლებში წარმოშობილი დავების განხილვის წესსა და სადოქტორო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მუხლი 2. სადოქტორო პროგრამა და მისი მიზნები

2.1 სადოქტორო პროგრამა წარმოადგენს აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობას, რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-8 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს. სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს არანაკლებ 3 (სამ) წელს და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს.

2.2 სადოქტორო პროგრამების მიზანია ხელი შეუწყოს შესაბამისი სფეროს განვითარებას და პოპულარიზაციას, სამეცნიერო კვლევის ხარისხის გაუმჯობესებას და ახალი ცოდნის გენერირებას. სადოქტორო პროგრამა ამზადებს დამოუკიდებელ, მაღალკვალიფიციურ მკვლევრებს და აკადემიურ კადრებს კვლევითი ორგანიზაციებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულებებისათვის, ხელს უწყობს მათ ინტეგრაციას საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო სივრცეში, რისი საშუალებითაც წვლილი შეაქვს უნივერსიტეტის მიერ ქვეყნის განვითარებაში.

თავი II. სადისერტაციო საბჭო

მუხლი 3. სადისერტაციო საბჭო

3.1. სადისერტაციო საბჭო არის სადოქტორო პროგრამების მმართველი ორგანო, რომელიც დაკომპლექტებულია უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისგან დარგების მიხედვით და ასევე დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული პერსონალისგან პარტნიორი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, (რომელთა რაოდენობა არ აღემატება სადისერტაციო საბჭოს საერთო შემადგენლობის ერთ მეოთხედს). სადისერტაციო საბჭო შედგება არანაკლებ 21 და არაუმეტეს 45 წევრისგან.

3.2. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობას, მათ შორის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანის წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

3.3. სადისერტაციო საბჭო:

- ა) განიხილავს საგანმანათლებლო პროგრამაში შესატან ცვლილებებს და დასამტკიცებლად გადასცემს სკოლის აკადემიურ საბჭოს;
- ბ) ადგენს სადისერტაციო კომისიის შემადგენლობას თითოეული დოქტორანტის სადოქტორო დისერტაციის დაცვისათვის და წარუდგენს დასამტკიცებლად უნივერსიტეტის რექტორს;
- გ) ადგენს სადოქტორო პროგრამებზე დაინტერესებულ პირთა ჩარიცხვის მიზნით მიმღები კომისიის შემადგენლობას და წარუდგენს დასამტკიცებლად უნივერსიტეტის რექტორს;
- დ) წარუდგენს სკოლის აკადემიურ საბჭოს წინადადებებს წინამდებარე დებულებაში ცვლილებების განხორციელების მიზნით, რომელიც თავის მხრივ განიხილავს წარმოდგენილ წინადადებებს და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს;
- ე) განიხილავს მობილობის პროცესში უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამებზე გადმომსვლელი სტუდენტების კანდიდატურებს და წინადადებას წარუდგენს სკოლის აკადემიურ საბჭოს, რომელიც თავის მხრივ განიხილავს წარმოდგენილ წინადადებებს და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს;
- ვ) განსაზღვრავს უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამებზე მიღების წინაპირობებს;
- ზ) უფლებამოსილია შუამდგომლობით მიმართოს სკოლის დეკანს მის შემადგენლობაში კონკრეტული წევრის დამატების შესახებ წარმოდგენილი შუამდგომლობის მოწონების შემთხვევაში, დეკანი სადისერტაციო საბჭოს წევრობის ახალ კანდიდატს წარუდგენს დასამტკიცებლად უნივერსიტეტის რექტორს;

- თ) ქმნის სააპელაციო კომისიას, როგორც სასწავლო, ასევე ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი საჩივრის/დავის შესწავლისა და განხილვის მიზნით;
- ი) განსაზღვრავს დისერტაციის წარდგენისა და დაცვის პროცედურასთან დაკავშირებულ დამატებით მოთხოვნებს;
- კ) ახორციელებს წინამდებარე დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3.4 სადისერტაციო საბჭოს მუშაობის წესი:

- ა) სადისერტაციო საბჭოს საქმიანობას წარმართავს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე;
- ბ) სადისერტაციო საბჭოს სხდომები ტარდება საჭიროებისამებრ, არანაკლებ ორჯერ წელიწადში;
- გ) სადისერტაციო საბჭოს ტექნიკურ კოორდინაციას და შესაბამის საქმისწარმოებას უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს მდივანი, რომელიც შეიძლება იყოს სადისერტაციო საბჭოს ერთ-ერთი წევრი, ან სადოქტორო პროგრამების ადმინისტრაციული ხელმძღვანელი, ან უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის სხვა წარმომადგენელი.
- დ) სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრის გზით. სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი, გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტი ხმა ენიჭება სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის ხმას;
- ე) სადისერტაციო საბჭოს სხდომის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი;
- ვ) სადისერტაციო საბჭოს სხდომა შესაძლებელია ჩატარდეს და გადაწყვეტილებები მიღებული იქნეს ელექტრონული წესით;

3.5. სადისერტაციო საბჭოს წევრს შეიძლება შეუწყდეს უფლებამოსილება შემდეგ შემთხვევებში:

- ა) პირადი განცხადების საფუძველზე;
- ბ) სადისერტაციო საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით, თუ ის ზედიზედ სამჯერ არ ესწრება სხდომას და არ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს;
- გ) თუ, მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი;
- დ) თუ, იგი სასამართლოს მიერ აღიარებულ იქნა ქმედდუუნაროდ ან შეზღუდულ ქმედდუნარიანად;
- ე) გარდაცვალების შემთხვევაში.

მუხლი 4. სადისერტაციო კომისია

4.1. სადისერტაციო კომისია იქმნება თითოეული დისერტაციის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

4.2 დისერტაციის საჯაროდ დაცვამდე, არანაკლებ 10 კალენდარული დღისა, სადისერტაციო საბჭო სადისერტაციო კომისიის შემადგენლობას დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს, იმ შემთხვევაში, თუ სადისერტაციო საბჭოსთვის ცნობილი გახდა, რომ სადისერტაციო კომისიის წევრი/წევრები ვერ ესწრება/ესწრებიან სადისერტაციო კომისიის სხდომას,

სადისერტაციო საბჭო უფლებამოსილია უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად წარუდგინოს სადისერტაციო კომისიის განახლებული შემადგენლობა;

4.3 სადისერტაციო კომისია შედგება იმ დარგის ან მომიჯნავე დარგის არანაკლებ ხუთი წარმომადგენლისაგან, რომელშიც შესრულებულია სადოქტორო დისერტაცია. სადისერტაციო კომისიის შემადგენლობის არანაკლებ სამი წევრი წარმოადგენს უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს. სადისერტაციო კომისიის არაუმეტეს ორი წევრი შეიძლება იყოს დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე სხვა პირი, რომელიც არ არის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი. სადისერტაციო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ, სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი და რეცენზენტი. *(ცვლილება შევიდა უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 30 მარტის N01-22/75 ბრძანებით)*

4.4 სადისერტაციო კომისიას ხელმძღვანელობს სადისერტაციო საბჭოს მიერ შერჩეული და რექტორის ბრძანებით დამტკიცებული დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, იმ დარგში, რომელშიც დოქტორანტი იცავს სადისერტაციო ნაშრომს, დასაშვებია სადისერტაციო კომისიას ხელმძღვანელობდეს დოქტორის აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი მომიჯნავე დარგში, ინტერდისციპლინურობის პრინციპის გათვალისწინებით.

4.5 სადისერტაციო კომისიის მდივანი არის სადისერტაციო საბჭოს მდივანი;

4.6 სადისერტაციო კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ყველა წევრი;

4.7 იმ შემთხვევაში თუ რომელიმე წევრი ობიექტური მიზეზით ვერ ესწრება სადისერტაციო კომისიის სხდომას, სადოქტორო პროგრამის ადმინისტრაცია დანიშნავს განახლებულ დაცვის თარიღს;

4.8 სადისერტაციო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი;

4.9 სადისერტაციო კომისიის დაკომპლექტების შესახებ ინფორმაცია ეცნობება დოქტორანტს. კომისიის დაკომპლექტებიდან არაუმეტეს 5 დღის ვადაში დოქტორანტს აქვს უფლება აცილება მისცეს სადისერტაციო კომისიის წევრს/წევრებს, რა მიზნითაც დასაბუთებული წერილობითი განცხადებით მიმართავს სადისერტაციო საბჭოს, რომელიც დოქტორანტის დასაბუთებული განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას სადისერტაციო კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ და წინადადებას დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს.

მუხლი 5. სადოქტორო პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი

5.1 სადოქტორო პროგრამას უძღვება პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი, რომელიც პასუხისმგებელია პროგრამის დაგეგმვაზე, შემუშავებაზე, პროგრამის შეფასების პროცესში მონაწილეობასა და განვითარებაზე. სადოქტორო პროგრამის აკადემიურ ხელმძღვანელს სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანის წარდგინების საფუძველზე თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

5.2 სადოქტორო პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი:

- ა) წარმოადგენს სადოქტორო პროგრამას მესამე პირებთან ურთიერთობაში;
- ბ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობას;
- გ) სადისერტაციო საბჭოს აწვდის ინფორმაციას პროგრამის საქმიანობისა და მომავალში ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ;
- დ) სადისერტაციო საბჭოსთან ერთად მუშაობს პროგრამის განვითარებაზე, სადოქტორო პროგრამების საჭიროებების გათვალისწინებით შეიმუშავებს და წარუდგენს შესაბამის ცვლილებებს სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აკადემიურ საბჭოს;
- ე) მონაწილეობს სადოქტორო პროგრამების სააკრედიტაციო წარმოების პროცესში;
- ვ) მიმართავს სადისერტაციო საბჭოს რიგგარეშე სხდომის ჩატარების მიზნით;
- ზ) იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტის მეცნიერ-ხელმძღვანელის შერჩევის შესახებ;
- თ) ახორციელებს წინამდებარე დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

5.3. სადოქტორო პროგრამებს, ასევე ჰყავს ადმინისტრაციული ხელმძღვანელი, რომელსაც, სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანის წარდგინების საფუძველზე თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

5.4 სადოქტორო პროგრამის ადმინისტრაციული ხელმძღვანელი:

- ა) წარმართავს სადოქტორო პროგრამების ყოველდღიურ სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობას;
- ბ) მონაწილეობს სადოქტორო პროგრამის სააკრედიტაციო წარმოების პროცესში;
- გ) ადგენს სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტს
- დ) მონაწილეობს დოქტორანტისთვის ინდივიდუალური სასწავლო/კვლევითი გეგმის შემუშავების პროცესში;
- ე) პროგრამის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით ადმინისტრირებას უწევს სადოქტორო პროგრამებს განხორციელებასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებს;
- ვ) აწარმოებს დოქტორანტების პირად საქმეებს;
- ზ) უზრუნველყოფს სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაციის დროულ მიწოდებას უნივერსიტეტის ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირებისთვის;
- თ) კონსულტაციას უწევს დოქტორანტებს დისერტაციის დაცვამდე და დაცვის შემდეგ სათანადო დოკუმენტაციის მომზადებაში;
- ი) მონაწილეობს დოქტორანტის მეცნიერ-ხელმძღვანელის შერჩევის პროცესში;
- კ) პროგრამების აკადემიურ ხელმძღვანელებთან ერთად წარმოადგენს სადოქტორო პროგრამებს მესამე პირებთან ურთიერთობაში.
- ლ) ახორციელებს წინამდებარე დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

თავი III. სადოქტორო პროგრამაზე მიღება

მუხლი 6. სადოქტორო პროგრამაზე სწავლის უფლება და ჩარიცხვის წინაპირობები

6.1. სადოქტორო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიური ხარისხის მქონე პირს, სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული მისაღები წინაპირობების ფარგლებში. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს შესაბამისი სპეციალობის არსებობა. დაინტერესებული პირებისთვის სადოქტორო პროგრამებზე მისაღები პროცედურების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

6.2 სადოქტორო პროგრამაზე სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხო ქვეყნის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად;

6.3. სადოქტორო პროგრამაზე მიღება ცხადდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე. *(ცვლილება შევიდა უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 30 მარტის N01-22/75 ბრძანებით)*

6.4. სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გაგრძელებით დაინტერესებულმა პირებმა უნივერსიტეტში უნდა წარმოადგინონ შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

6.4.1 პროფესიული ბიოგრაფია (CV)

6.4.2 შევსებული სააპლიკაციო ფორმა;

6.4.3 მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ფლობის დამადასტურებელი დიპლომის ასლი (უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი დიპლომის აღიარება უნდა იყოს დადასტურებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ);

6.4.4 მაგისტრის დიპლომის ასლი;

6.4.5 პირადობის მოწმობის ასლი;

6.4.6 ბიომეტრული ფოტოსურათი 3X4 - ზე;

6.4.7 სადოქტორო კვლევის პროექტი (მინიმუმ 1000 სიტყვა);

6.4.8 ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ B 2 დონის საერთაშორისო სერტიფიკატი. ასეთის არ არსებობის შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შიდა გამოცდის ჩატარებას ინგლისურ ენაში; ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარების ვალდებულებისგან თავისუფლდებიან ის კანდიდატები, რომლებსაც დასრულებული აქვთ ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამა საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ; სხვა დამატებითი დოკუმენტები, რომელიც შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს ცალკეული სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში.

6.5. კანდიდატები პროგრამაზე ჩარიცხებიან წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და დარგობრივ კომისიასთან გასაუბრების საფუძველზე, რომელიც დაკომპლექტებულია სადისერტაციო საბჭოს წევრებით ან/და მოწვეული პერსონალით.

სადოქტორო პროგრამებისთვის საერთო გასაუბრების კრიტერიუმებს ადგენს სადისერტაციო საბჭო. შეფასების ფურცელი ივსება კომისიის თითოეული წევრის მიერ.

6.6 გასაუბრებისას მხედველობაში მიიღება:

- ა) კანდიდატის მოტივაცია;
- ბ) დარგობრივი ცოდნა;
- გ) შერჩეული საკვლევი საკითხის აქტუალობა და სამეცნიერო სიახლე;
- დ) გამოქვეყნებული ან/და გამოსაქვეყნებელი სამეცნიერო ნაშრომების არსებობა;
- ე) პროფესიული გამოცდილება სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა აქტივობები.

6.7 სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გაგრძელებით დაინტერესებული პირები, რომლებიც კონკურსის საფუძველზე წარმატებით გაივლიან შიდა საუნივერსიტეტო პროცედურებს (გამოცდა ინგლისურ ენაში B 2 დონის სერტიფიკატის არ არსებობის შემთხვევაში, გასაუბრება დარგობრივ კომისიასთან) სადოქტორო პროგრამაზე ჩაირიცხებიან უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე.

6.8 სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის შემდეგ უნივერსიტეტსა და დოქტორანტს შორის ფორმდება საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მხარეთა უფლებები და მოვალეობები.

6.9 სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვიდან სამი თვის ვადაში თითოეული დოქტორანტისათვის პროგრამის აკადემიური და ადმინისტრაციული ხელმძღვანელები განსაზღვრავენ მეცნიერ-ხელმძღვანელებს, რომლებმაც უნდა უხელმძღვანელონ დოქტორანტების კვლევით საქმიანობას. მეცნიერ-ხელმძღვანელსა და უნივერსიტეტს შორის ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მხარეთა უფლება-მოვალეობები.

მუხლი 7. მობილობა სადოქტორო პროგრამაზე

7.1. სადოქტორო პროგრამაზე კანდიდატები ჩაირიცხებიან მობილობის წესით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა საუნივერსიტეტო მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად. უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას, დაადგინოს დამატებითი მოთხოვნები მობილობის წესით სტუდენტის ჩარიცხვასთან დაკავშირებით, რაც შესაძლებელია გულისხმობდეს შიდა გამოცდის ჩაბარებას, დოკუმენტაციის განხილვის ან გასაუბრების წარმატებით გადალახვას.

7.2. შესრულებული კვლევის, პროგრამაზე ჩარიცხვისა და კრედიტების აღიარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროგრამის ადმინისტრაციული ხელმძღვანელი სადისერტაციო საბჭოსთან შეთანხმებით. მობილობაში მონაწილე პირის ჩარიცხვა სადოქტორო პროგრამაზე ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე. (ცვლილება შევიდა უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 30 მარტის N01-22/75 ბრძანებით)

მუხლი 8. დოქტორანტის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძვლები

8.1. დოქტორანტის სტატუსის შეჩერების საფუძველი შეიძლება იყოს:

ა) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;

ბ) პირადი განცხადება, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს აკადემიურ შევთვლებაში გასვლასთან, ჯანმრთელობის, ოჯახურ და სამსახურეობრივ მდგომარეობასთან, ორსულობასთან, ბავშვის მოვლასთან და ა. შ.

გ) სწავლის საფასურის დადგენილ ვადებში გადაუხდელობა;

8.2 დოქტორანტი სტატუსის შეჩერების მიზნით წარადგენს განცხადებას, პირადი ან კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით სადოქტორო პროგრამის ადმინისტრაციული ხელმძღვანელის სახელზე (მიზეზის მითითებით);

8.3 დოქტორანტის სტატუსის შეჩერება/აღდგენის საკითხთან დაკავშირებულ ინფორმაციას პროგრამის ადმინისტრაციული ხელმძღვანელი წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს შესაბამისი ბრძანების გამოცემის მიზნით;

8.4 დოქტორანტს შეუძლია აღიდგინოს შეჩერებული სტატუსი პირადი განაცხადის საფუძველზე სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ დოქტორანტს უწყდება სტუდენტის სტატუსი;

8.5 იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შეცვლილი გარემოებები, მათ შორის უნივერსიტეტის სწავლის საფასური, შეჩერებული სტატუსის აღდგენის შემდეგ სტუდენტი სწავლას აგრძელებს ახალი ხელშეკრულების/არსებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების საფუძველზე იმ სემესტრიდან, რომლიდანაც შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი. სტუდენტის სტატუსის შეჩერების დროის განმავლობაში, უნივერსიტეტი და სტუდენტი თავისუფლდებიან ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

8.6 დოქტორანტის სტატუსის ცვლილება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე ფიქსირდება ერთიანი სტუდენტური რეესტრის მონაცემთა ბაზაში.

8.7. დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები შეიძლება იყოს:

ა) პირადი განცხადება;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;

გ) სწავლის პერიოდში 5 წელზე მეტი ვადის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შეჩერება;

დ) პროსპექტუსის, კოლოქვიუმის ან დისერტაციის ზედიზედ ორჯერ ვერ დაცვა, რაც ითვლება აკადემიურ ჩამორჩენილობად;

ე) სასწავლო კომპონენტში 2 (ორი) არადაამაკმაყოფილებელი შეფასების (F) მიღება;

ვ) სასწავლო კომპონენტის 6 სემესტრში დაუსრულებლობა;

ზ) კვლევითი კომპონენტის, (იგულისხმება დასრულებული სადოქტორო დისერტაციის წარდგენა) დამატებითი 4 სემესტრის განმავლობაში დაუსრულებლობა;

- თ) უნივერსიტეტის ეთიკისა და ქცევის კოდექსით განსაზღვრული ნორმების უხეში და სისტემატური დარღვევა (მათ შორის კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევა), უნივერსიტეტის რეპუტაციისა და კანონიერი ინტერესებისთვის ზიანის მიყენება; *(ცვლილება შევიდა უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 30 მარტის N01-22/75 ბრძანებით)*
- ი) ამოღებულია; *(ცვლილება შევიდა უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 30 მარტის N01-22/75 ბრძანებით)*
- კ) გარდაცვალება.

თავი IV. სადოქტორო პროგრამა

მუხლი 9. სადოქტორო პროგრამის შემუშავება და წარდგენა

9.1. სადოქტორო პროგრამის შინაარსობრივი მხარის შემუშავებაზე პასუხისმგებელია პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი. სადოქტორო პროგრამის შინაარსობრივი მხარის მომზადების პროცესში მონაწილეობას იღებს უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, პოტენციური დამსაქმებლები, სტუდენტები და კურსდამთავრებულები. აღნიშნულ პროცესში შეიძლება ჩაერთონ უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლები, გარე ექსპერტები და სხვა დაინტერესებული პირები. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების დროს მხედველობაში მიიღება უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით გათვალისწინებული საკითხები.

9.2. შემუშავებული სადოქტორო პროგრამის პროექტს შესაბამისი პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნასთან ერთად განსახილველად წარუდგენს სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აკადემიურ საბჭოს, რომლის დადებითი რეკომენდაციის საფუძველზეც პროგრამას განიხილავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

9.3. უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად, სადოქტორო პროგრამის დამტკიცების შემთხვევაში, პროგრამასთან დაკავშირებული კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტები წარედგინება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს პროგრამული აკრედიტაციის მიღების მიზნით.

9.4. სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში შეიძლება მონაწილეობდეს:

- ა) უნივერსიტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან ასისტენტ პროფესორი;
- ბ) პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მეცნიერი;
- გ) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტი;

მუხლი 10. სადოქტორო პროგრამა

10.1. სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისგან. სასწავლო კომპონენტების კრედიტების ჯამური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 60 კრედიტს.

10.2 სადოქტორო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 3 აკადემიურ წელს (6 სემესტრი).

10.3 სადოქტორო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, რაც გულისხმობს სასწავლო კომპონენტით განსაზღვრული კრედიტების დაგროვებასა და სადისერტაციო ნაშრომის წარმატებით დაცვას, დოქტორანტს მიენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი;

10.4 იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტს 6 სემესტრის განმავლობაში არ ექნება დასრულებული სასწავლო კომპონენტი მას წინამდებარე დებულების საფუძველზე შეუწყდება სტუდენტის სტატუსი. თუ დოქტორანტი სადისერტაციო ნაშრომს არ წარადგენს 3 აკადემიური წლის განმავლობაში, დოქტორანტს უფლება აქვს დასაბუთებული განცხადებით მიმართოს პროგრამის ადმინისტრაციულ ხელმძღვანელს კვლევითი კომპონენტის არაუმეტეს 4 სემესტრით გახანგრძლივების მოთხოვნის შესახებ.

10.5. დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტი ვალდებულია დაასრულოს სადოქტორო პროგრამის ფარგლებში კვლევის პროცესი, არაუმეტეს 4 სასწავლო სემესტრში. თუ აღნიშნულ პერიოდში დოქტორანტი ვერ წარმოადგენს დასრულებულ სადისერტაციო ნაშრომს, მას უწყდება სტუდენტის სტატუსი.

10.6 დამატებითი სემესტრის განმავლობაში დოქტორანტს უნარჩუნდება სტუდენტის სტატუსი და იგი ვალდებულია გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სწავლის საფასური.

10.7 დოქტორანტს უფლება აქვს წარმოადგინოს დასრულებული დისერტაცია იმ შემთხვევაში, თუ:

- ა) წარმატებით დაასრულებს სასწავლო კომპონენტს;
- ბ) წარმატებით დაიცავს პროსპექტუსსა და კოლოქვიუმს;
- გ) გამოაქვეყნებს 2 პუბლიკაციას რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში;
- დ) სადოქტორო პროგრამით შეიძლება დაწესდეს დამატებითი წინაპირობა.

10.8 დოქტორანტის მიერ წარდგენილ დისერტაციას თან უნდა ერთვოდეს მეცნიერ-ხელმძღვანელის დასკვნა, რომელიც ადასტურებს რომ სადისერტაციო ნაშრომი აკმაყოფილებს პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებს და მზად არის საჯაროდ დაცვისათვის.

10.9. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წინაპირობა სემესტრების მიხედვით შემდეგნაირად განისაზღვრება:

- ა) მეოთხე სემესტრში პროსპექტუსის/სადისერტაციო კვლევის პროექტის დაცვა; (იხილეთ დანართი N 6).
- ბ) მეხუთე სემესტრში კოლოქვიუმის დაცვა, რომელიც ასახავს სადისერტაციო კვლევის ერთ დასრულებულ თავს; (იხილეთ დანართი N 3).

გ) კოლოქვიუმი და პროსპექტუსი დაცულად ითვლება, თუ კომისიის ყველა წევრი ადასტურებს რომ შესრულებული ნაშრომი იმსახურებს დადებით შეფასებას და დოქტორანტს უფლება ეძლევა გააგრძელოს სადისერტაციო კვლევაზე მუშაობა;

დ) მინიმუმ 2 სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება რეფერირებად ჟურნალში;

10.10 სადოქტორო პროგრამაზე სწავლის განმავლობაში დოქტორანტი ვალდებულია:

ა) გამოაქვეყნოს 2 სამეცნიერო პუბლიკაცია რეცენზირებად ადგილობრივ ან საერთაშორისო ელექტრონულ ან/და ბეჭდურ სამეცნიერო ჟურნალში, ან საზღვარგარეთ გამოცემულ საერთაშორისო კონფერენციის მასალებში/შრომების კრებულში (ე. წ. Proceedings);

ბ) პრიორიტეტულია პუბლიკაციის გამოქვეყნება ისეთ სამეცნიერო ჟურნალებში, რომლებიც შედის საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებში - (Thomson, Reuters, Master Journal List, Scopus, Ulrich's Index, ERIH, EBSCOHost, Latindex Catalogue Elsevier).

გ) გამოქვეყნებული პუბლიკაციების ასლები წარადგინოს დისერტაციის საჯაროდ დაცვის დროს;

დ) იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტს ორივე სამეცნიერო პუბლიკაცია წარმოდგენილი აქვს საერთაშორისო კონფერენციის მასალების/შრომების კრებულის სახით, მაშინ ერთ-ერთ სამეცნიერო პუბლიკაციაზე უნდა წარმოადგინოს უცხოელი მკვლევრის რეცენზია. რეცენზენტი უნდა ფლობდეს დოქტორის ხარისხს იმ დარგში, რომელშიც დოქტორანტმა განახორციელა კვლევა და წარმოდგენდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან კვლევითი ცენტრის თანამშრომელს. აღნიშნული რეცენზია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარედგინება სადისერტაციო კომისიას, დისერტაციის საჯარო დაცვის დროს გასაცნობად;

ე) დოქტორანტი უფლებამოსილია სამეცნიერო პუბლიკაცია შეასრულოს როგორც ინდივიდუალურად, ასევე თანაავტორობით;

10.11. დოქტორანტს სამეცნიერო სტატია გამოქვეყნებულად ეთვლება, თუ:

ა) დაბეჭდილია ჟურნალის შესაბამისი ტომი (ან გადაცემულია/ჩაშვებულია დასაბეჭდად და დასტურდება ცნობის სახით);

ბ) ნაშრომი განთავსებულია ჟურნალის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;

10.12. კვლევითი კომპონენტის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები განისაზღვრება სადოქტორო პროგრამის აღწერილობით.

თავი V. დოქტორანტის ხელმძღვანელობა

მუხლი 11. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

11.1. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი არის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი, რომელიც ფლობს დოქტორის აკადემიურ ხარისხს და უდასტურდება სადისერტაციო კვლევასთან დაკავშირებულ სამეცნიერო დარგში კვლევის გამოცდილება. შესაძლებელია დოქტორანტს ჰყავდეს თანახელმძღვანელი, რომელიც წარმოადგენს როგორც ადგილობრივ, ასევე უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან კვლევითი ცენტრის თანამშრომელს, და ფლობს დოქტორის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს და უდასტურდება სადისერტაციო კვლევასთან დაკავშირებულ სამეცნიერო დარგში კვლევის გამოცდილება.

11.2. სამეცნიერო ხელმძღვანელთან უნივერსიტეტი აფორმებს შესაბამის ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც იგი მონაწილეობს დოქტორანტის კვლევის პროცესში.

11.3 სამეცნიერო ხელმძღვანელის ძირითადი ვალდებულებებია:

- ა) დოქტორანტს გაუწიოს რეგულარული კონსულტაცია, არანაკლებ სამი საათი თვეში;
- ბ) განახორციელოს დოქტორანტის პროგრესის პერიოდული განმავითარებელი შეფასება, ყოველი სემესტრის ბოლოს, განხორციელებული შეფასების შედეგები ეცნობება დოქტორანტს. *(ცვლილება შევიდა უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 30 მარტის N01-22/75 ბრძანებით)*
- გ) დოქტორანტს დაეხმაროს კვლევის დიზაინისა და მეთოდების შერჩევაში;
- დ) დაადგინოს დოქტორანტის მიერ მოძიებული სამეცნიერო ლიტერატურისა და ემპირიული მონაცემების ელევანტურობა;
- ე) დოქტორანტს კონსულტაცია გაუწიოს პუბლიკაციების გამოქვეყნების პოცესში;
- ვ) უხელმძღვანელოს დოქტორანტის პროსპექტუსისა და კოლოქვიუმის შესრულების პროცესს;
- თ) წარმოადგინოს დადებითი ან უარყოფითი დასკვნა დოქტორანტის მიერ შესრულებული სადისერტაციო ნაშრომის შესაბამისობის შესახებ პროგრამით განსაზღვრულ სტანდარტებთან;
- ი) ყოველ 6 თვეში ერთხელ პროგრამის ხელმძღვანელს წარუდგინოს დოქტორატთან გაწეული მუშაობის შეფასება პროგრამაში არსებული შეფასების ფორმის მიხედვით;

11.4 სამეცნიერო ხელმძღვანელი უფლებამოსილია პროგრამის ადმინისტრაციულ ხელმძღვანელს შუამდგომლობით მიმართოს საჭიროების შემთხვევაში დოქტორატისთვის დამატებითი სალექციო კურსის/კურსების უზრუნველყოფისთვის;

11.5 დოქტორანტს უფლება აქვს მიმართოს სადისერტაციო საბჭოს და დასაბუთებული განცხადების საფუძველზე მოითხოვოს დისერტაციის თემისა ან/და ხელმძღვანელის შეცვლა კვლევით კომპონენტზე მუშაობის ნებისმიერ ეტაპზე;

11.6 დოქტორატისთვის სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლის საკითხს წყვეტს სადისერტაციო საბჭო;

11.7 სამეცნიერო ხელმძღვანელმა შესაძლებელია უხელმძღვანელოს არა უმეტეს 5 აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტს;

11.8 სამეცნიერო ხელმძღვანელს უფლება აქვს სადოქტორო სწავლების ნებისმიერ ეტაპზე უარი თქვას ხელმძღვანელობაზე, რის თაობაზე სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს დასაბუთებულ ახსნა-განმარტებას;

თავი VI

მუხლი 12. სადისერტაციო ნაშრომი

12.1 სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს დოქტორანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევით ნაშრომს;

12.2 სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის დროს დოქტორანტი ვალდებულია გაითვალისწინოს დისერტაციის შეფასების კრიტერიუმები:

- ა) დარგის/ქვედარგის ან/და დარგთაშორისი სფეროს განვითარებაში წვლილის შეტანა სადისერტაციო თემის აქტუალობის და სიახლის გათვალისწინებით;
- ბ) სადისერტაციო ნაშრომის სისტემური კვლევა და კავშირი კვლევის მიზნებსა და შედეგებს შორის;
- გ) კვლევის პროცესში შესაბამისი კვლევის მეთოდების შერჩევა და სამეცნიერო ეთიკის სტანდარტების დაცვით ინოვაციური გამოყენება;
- დ) დისერტაციის კვლევის მიზნებისა და ამოცანების შესრულების ხარისხი;
- ე) საკვლევ თემასთან დაკავშირებული წყაროების, სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების სისრულე და კრიტიკული ანალიზი;
- ვ) დისერტაციის მოცულობის, ფორმატის, სტილისა და სხვა ტექნიკური მახასიათებლების შესაბამისობის უზრუნველყოფა სადოქტორო პროგრამის აღწერილობით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;

12.3 სადისერტაციო ნაშრომი სრულდება ქართულ ენაზე. გამონაკლის შემთხვევაში, შესაძლებელია სადისერტაციო ნაშრომი შესრულდეს ინგლისურ ენაზე, რისთვისაც დოქტორანტი დასაბუთებული განცხადების საფუძველზე მიმართავს სადისერტაციო საბჭოს, რომელიც იღებს დადებით ან უარყოფით გადაწყვეტილებას;

12.4 დოქტორანტი ვალდებულია დისერტაციასთან ერთად წარმოადგინოს ავტორეფერატი, (სადოქტორო ნაშრომის მოკლე ვერსია) ქართულ და ინგლისურ ენებზე;

12.5 სადოქტორო ნაშრომის შესრულების დეტალური აღწერილობა მოცემულია წინამდებარე დებულების დანართი N 7-ში.

მუხლი 13. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა

13.1 დისერტაციის დასაცავად სადოქტორო პროგრამის ადმინისტრაციულ ხელმძღვანელს წარედგინება შემდეგი დოკუმენტები:

ა) დისერტაციის ოთხი აკინძული ბეჭდური ეგზემპლარი და ელექტრონული ვერსია (PDF ფორმატში) უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განსათავსებლად. უცხოელი რეცენზენტის არსებობის შემთხვევაში, დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს სადისერტაციო ნაშრომის ელექტრონული ინგლისურენოვანი ვერსია.

ბ) სადოქტორო პროგრამაზე სწავლის განმავლობაში დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო/კვლევის გეგმის შესრულების

დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელსაც ხელს აწერს სამეცნიერო ხელმძღვანელი და პროგრამის ადმინისტრაციული ხელმძღვანელი; (იხილეთ დანართი N 2)

გ) ავტორიფერატი ნაბეჭდი სახით ქართულ და ინგლისურ ენებზე;

დ) დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის წერილობითი დასკვნა სადისერტაციო ნაშრომის შესახებ, რომელიც ეფუძნება დოქტორანტის პროგრესის პერიოდულ განმავითარებელ შეფასებებს და რომლითაც დასტურდება, რომ წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი შეესაბამება სადოქტორო პროგრამით განსაზღვრულ სტანდარტებსა და მზად არის საჯარო განხილვაზე წარსადგენად; (ცვლილება შევიდა უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 30 მარტის N01-22/75 ბრძანებით)

ე) დოქტორანტის ავტორობით ან თანაავტორობით სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული უკვე გამოქვეყნებული სამეცნიერო კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი და წინამდებარე დებულების შესაბამისად გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციების ასლები;

ვ) უცხოური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების და/ან სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წარმომადგენლის, შესაბამის დარგში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირის მიერ მომზადებული რეცენზია დოქტორანტის პუბლიკაციაზე იმ შემთხვევაში, თუ ორივე სავალდებულო სამეცნიერო პუბლიკაცია გამოქვეყნებულია საერთაშორისო კონფერენციის მასალებში/შრომების კრებულში;

ზ) წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია წარედგინება სადისერტაციო კომისიას დისერტაციის საჯაროდ დაცვის პროცესში განსახილველად;

13.2 სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის შემდგომ დოქტორანტი თავისუფლდება სწავლის საფასურის გადახდისაგან.

13.3 სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის შემდეგ, პროგრამის ადმინისტრაციული ხელმძღვანელი ამოწმებს დოკუმენტაციის შესაბამისობას სადოქტორო პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

13.4 სამეცნიერო კეთილსინდისიერების სტანდარტების დაცვის მიზნით სადისერტაციო ნაშრომი მოწმდება ლიცენზირებული ანტიპლაგიატის პროგრამის საშუალებით. პლაგიატის ან სხვა დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში ნაშრომი კარგავს საჯაროდ დაცვის უფლებას. (ცვლილება შევიდა უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 30 მარტის N01-22/75 ბრძანებით)

13.5 სადისერტაციო ნაშრომის ლიცენზირებული ანტიპლაგიატის პროგრამაში შემოწმებისა და დოქტორანტის მიერ დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის შემდეგ ადმინისტრაციული ხელმძღვანელი ათანხმებს რეცენზენტების შერჩევას საკითხს აკადემიურ ხელმძღვანელთან.

მუხლი 14. დისერტაციის წინასწარი რეცენზირება

14.1 სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის შემდეგ სადისერტაციო საბჭო, სადისერტაციო ნაშრომის შესაფასებლად გამოყოფს ორ რეცენზენტს, რომელთაგან ერთი წარმოადგენს უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს, ხოლო მეორე რეცენზენტი წარმოადგენდეს ადგილობრივი ან საერთაშორისო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ პერსონალს, ან კვლევითი დაწესებულების თანამშრომელს. *(ცვლილება შევიდა უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 30 მარტის N01-22/75 ბრძანებით)*

14.2 სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტი შეიძლება იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში უდასტურდება სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება;

14.3 რეცენზენტი არ შეიძლება იყოს:

- ა) დისერტანტის მიერ შესრულებული რომელიმე ნაშრომის თანაავტორი;
- ბ) დისერტანტზე თანამდებობრივად ზემდგომი ან დამოკიდებული პირი;
- გ) წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის მომზადებაში პროცესში ჩართული პირი;

14.4 რეცენზენტი დასკვნას წერს მისთვის სადისერტაციო ნაშრომის გადაცემიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში;

14.5 რეცენზენტი მის მიერ მომზადებულ დასკვნაში ეყრდნობა შეფასების შემდეგ კრიტერიუმებს:

- ა) დარგის/ქვედარგის ან/და დარგთაშორისი სფეროს განვითარებაში წვლილის შეტანა სადისერტაციო თემის აქტუალობის და სიახლის გათვალისწინებით;
- ბ) სადისერტაციო ნაშრომის თანმიმდევრულობა, სისტემური კვლევა და კავშირი კვლევის მიზნებსა და შედეგებს შორის;
- გ) კვლევის პროცესში შესაბამისი კვლევის მეთოდების შერჩევა და სამეცნიერო ეთიკის სტანდარტების დაცვით ინოვაციური გამოყენება;
- დ) დისერტაციის კვლევის მიზნებისა და ამოცანების შესრულების ხარისხი;
- ე) საკვლევ თემასთან დაკავშირებული წყაროების, სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების სისრულე და კრიტიკული ანალიზი;
- ვ) დისერტაციის მოცულობა, ფორმატი, სტილი და სხვა ტექნიკური მონაცემები;

14.6. შესაბამისი არგუმენტაციის საფუძველზე რეცენზენტი თავის დასკვნაში ადგენს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

- ა) დისერტაციის დაცვაზე დაშვების შესახებ;
- ბ) დისერტაციის დაცვაზე არდაშვების შესახებ.

- 14.7. პროგრამის ადმინისტრაციული ხელმძღვანელი უზრუნველყოფს დოქტორატისთვის რეცენზენტთა დასკვნების მიწოდებას.
- 14.8. თუ ერთ-ერთი რეცენზენტი მიიღებს გადაწყვეტილებას დისერტაციის დაცვაზე არდაშვების შესახებ, სადისერტაციო საბჭო გამოყოფს მესამე რეცენზენტს.
- 14.9. სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მესამე რეცენზენტის დასკვნის საფუძველზე.
- 14.10 დისერტაციის დაცვაზე არ დაშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს ეძლევა დისერტაციაზე მუშაობისთვის დამატებითი ვადა, რომელიც არ აღემატება 2 სემესტრს. *(ცვლილება შევიდა უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 30 მარტის N01-22/75 ბრძანებით)*
- 14.11 დოქტორანტის მიერ ხელმეორედ წარდგენილი შესწორებული სადისერტაციო ნაშრომი გადაეცემათ იმავე რეცენზენტებს, რომლებიც მონაწილეობდნენ პირველად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის რეცენზირებაში, ხოლო თუ ეს ობიექტური გარემოებების გამო შეუძლებელია, სადისერტაციო საბჭო დისერტაციის რეცენზირებისათვის გამოყოფს ახალ რეცენზენტებს.
- 14.12 ხელმეორედ წარდგენილ სადისერტაციო ნაშრომზე რეცენზენტების მიერ უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში, დოქტორანტს წინამდებარე დებულების საფუძველზე უწყდება სტუდენტის სტატუსი.

მუხლი 15. სადისერტაციო კომისიის სხდომა

- 15.1. სადისერტაციო კომისიის სხდომის შესახებ ინფორმაცია უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, შესაბამისი სხდომის ჩატარებამდე არანაკლებ ათი დღით ადრე.
- 15.2. დისერტაციის დაცვა მიმდინარეობს ქართულ ენაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ინგლისურ ენაზე.
- 15.3. დისერტაციის დაცვა მიმდინარეობს საჯაროდ, სადისერტაციო კომისიისა და დამსწრე აუდიტორიის წინაშე.
- 15.4. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცესი ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაციას, სამეცნიერო დისკუსიასა და სადისერტაციო კომისიის მიერ შეფასების პროცესს.
- 15.5 სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცედურა:
- ა) პროგრამის ადმინისტრაციული ხელმძღვანელი სადისერტაციო კომისიასა და დამსწრე აუდიტორიას წარუდგენს დისერტანტის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს, დისერტაციის თემას, რეცენზენტების ვინაობას და დოქტორანტის მიერ წარმოდგენილ სხვა დოკუმენტებს;
 - ბ) დოქტორანტი სადისერტაციო კომისიას და დამსწრე საზოგადოებას წარუდგენს კვლევის ძირითად შედეგებს. დოქტორანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაცია გულისხმობს მოხსენებას – თემის წარმოდგენას, რომლის ხანგრძლივობა არ უნდა

- აღმატებოდეს 30 წუთს. დოქტორანტი მკაფიოდ წარმოაჩენს თავისი ნაშრომის სამეცნიერო სიახლეს, მეთოდოლოგიას, ძირითად დებულებებსა და მიღებულ შედეგებს. ნაშრომის პრეზენტაციისას დოქტორანტმა უნდა გამოიყენოს თვალსაჩინო მასალა, რომლისთვისაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ტექნიკური მასალა;
- გ) დოქტორანტის მეცნიერ-ხელმძღვანელი წარმოადგენს საკუთარ დასკვნას შესრულებულ სერტაციაზე;
- დ) რეცენზენტები წარმოადგენენ საკუთარ შენიშვნებს და მოსაზრებებს;
- ე) თუ დაცვას საპატიო მიზეზით არ ესწრება ერთ-ერთი რეცენზენტი, იგი საკუთარი რეცენზიის წარდგენის უფლებამოსილებას გადასცემს სხდომის მდივანს;
- ვ) დოქტორანტი პასუხობს რეცენზენტების შენიშვნებს, იმართება სამეცნიერო დისკუსია, რომლის ხანგრძლივობა არ უნდა აღმატებოდეს ერთ საათს. სამეცნიერო დისკუსიის დასრულების შემდეგ დოქტორანტი ასევე პასუხობს დამსწრეთა მიერ დასმულ შეკითხვებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- ზ) სამეცნიერო დისკუსიის დასრულების შემდეგ სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარის წინადადებით დოქტორანტს ეძლევა დასკვნითი სიტყვა;
- თ) დოქტორანტის დასკვნითი სიტყვის შემდეგ დამსწრე აუდიტორია ტოვებს დარბაზს და სადისერტაციო ნაშრომის შესაფასებლად სადისერტაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დახურულ დასკვნით სხდომაზე;
- ი) სადისერტაციო ნაშრომს აფასებს სადისერტაციო კომისიის თითოეული წევრი ანონიმურად. საბოლოო შეფასება განისაზღვრება მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე;
- კ) სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე დამსწრე აუდიტორიას აცნობებს სადისერტაციო კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასა და საბოლოო შეფასებას;
- ლ) დისერტაციის დაცვის, მისი მიმდინარეობისა და საბოლოო შედეგის შესახებ დგება დისერტაციის დაცვის ოქმი, რომელსაც ხელს აწერს სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 16. სადისერტაციო ნაშრომის შეფასება

16.1 სადისერტაციო კომისიის თითოეული წევრი სადისერტაციო ნაშრომს აფასებს ინდივიდუალურად, 16-ე მუხლის 16.2 პუნქტის შესაბამისად, სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება გამოითვლება სადისერტაციო კომისიის წევრთა შეფასებების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით. სადისერტაციო კომისიის თითოეული წევრი სადისერტაციო ნაშრომს აფასებს წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული კრიტერიუმების საფუძველზე. (ცვლილება შევიდა უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 30 მარტის N01-22/75 ბრძანებით)

16.2. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა:

- ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი – 91-100 ქულა;

- ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება – 81-90 ქულა;
- გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება – 71-80 ქულა;
- დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს – 61-70 ქულა;
- ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს – 51-60 ქულა;
- ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო – 41-50 ქულა;
- ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს – 40 ქულა და ნაკლები. (ცვლილება შევიდა უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 30 მარტის N01-22/75 ბრძანებით)

16.3 ამოღებულია *(უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 30 მარტის ბრძანებით)*

16.4 არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი. ამ მიზნით, მას უფლება აქვს შედეგის გამოცხადებიდან ერთი თვის განმავლობაში დასაბუთებული განცხადებით მიმართოს პროგრამის ადმინისტრაციულ ხელმძღვანელს ნაშრომის გადამუშავებისა და დისერტაციის განმეორებითი დაცვის მოთხოვნით.

16.5. სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის გადამუშავების და წარდგენის უფლებას.

16.6. სადისერტაციო ნაშრომის ერთი ეგზემპლარი გაეგზავნება ეროვნულ ბიბლიოთეკას. ხოლო სამი ეგზემპლარი რჩება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და სადოქტორო პროგრამის ადმინისტრაციასთან.

მუხლი 17. გასაჩივრების წესი

17.1 დოქტორანტი უფლებამოსილია სასწავლო, კვლევით და ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებით არსებული უკმაყოფილების შემთხვევაში, დასაბუთებული წერილობითი განცხადებით მიმართოს სადისერტაციო საბჭოს, რომელიც განიხილავს სტუდენტის მიერ წარმოდგენილ წერილობით განცხადებას და იღებს გადაწყვეტილებას სააპელაციო კომისიის შექმნის მიზანშეწონილობის შესახებ.

17.2 სააპელაციო კომისია შედგება არანაკლებ 3 წევრისგან. სააპელაციო კომისიის წევრი შეიძლება იყოს სადისერტაციო საბჭოს, სკოლის აკადემიური საბჭოს და/ან უნივერსიტეტის აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენელი.

17.3 გასაჩივრებული საკითხის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია საჩივრის განსახილველად სააპელაციო კომისიის საქმიანობაში მონაწილეობა მიიღოს შესაბამისი კომპეტენციის პირმაც.

17.4 სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

17.5 გასაჩივრების უფლებით ასევე, სარგებლობს სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის კანდიდატი, რომელსაც უფლება აქვს გაასაჩივროს სადოქტორო პროგრამის მისაღები დარგობრივი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რისთვისაც დასაბუთებული განცხადებით მიმართავს პროგრამის სადისერტაციო საბჭოს.

მუხლი 18. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება

18.1. სადისერტაციო კომისიის მიერ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.

18.2. დოქტორის ხარისხის დამადასტურებელ დიპლომში მოცემული ინფორმაცია წარმოდგენილია ქართულ და ინგლისურ ენებზე და მოიცავს დოქტორის სახელსა და გვარს, პროგრამის სახელწოდებას, დისერტაციის სახელწოდებას, დაცვის თარიღსა და დიპლომის ნომერს. დიპლომს ხელს აწერს უნივერსიტეტის რექტორი და სკოლის დეკანი და მოწმდება უნივერსიტეტის ბეჭდით.

მუხლი 19. დოქტორის აკადემიური ხარისხის ბათილად ცნობა

19.1. სადოქტორო ხარისხის ბათილობის საკითხი განიხილება იმ შემთხვევაში, თუ სადისერტაციო საბჭოს წარედგინა განაცხადი და შესაბამისი მტკიცებულებები სადისერტაციო ნაშრომის გაყალბების ან პლაგიატის შესახებ.

19.2 სადისერტაციო საბჭო სადოქტორო ნაშრომის ბათილობის განხილვის მიზნით ქმნის სპეციალურ კომისიას, რომელიც დეტალურად შეისწავლის აღნიშნულ საკითხს და წარმოადგენს დასაბუთებულ დასკვნას განცხადებაში არსებული პლაგიატის ან გაყალბების შესახებ.

19.3 სპეციალური კომისიის დასკვნის საფუძველზე, სადისერტაციო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას დოქტორის ხარისხის ბათილად ცნობის ან არცნობის შესახებ.

